



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 595 2016 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2014, 010320000.10.003.018196) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის“ (დანართი №1) 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24

- მთავარი საჯარო თანამდებობა:
 - მინისტრის პირველი მოადგილე;
 - მინისტრის მოადგილე.
- წამყვანი საჯარო თანამდებობა:



- ა) დეპარტამენტის უფროსი;
- ბ) აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი;
- გ) სამსახურის უფროსი;
- დ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ე) აპარატის (დეპარტამენტის) უფროსის მოადგილე;
- ვ) სამსახურის უფროსის მოადგილე – განყოფილების უფროსი;
- ზ) სამსახურის უფროსის მოადგილე;
- თ) მინისტრის მრჩეველი;
- ი) სამმართველოს უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მრჩეველი;
- ბ) მთავარი ბუღალტერი;
- გ) კონსულტანტი;
- დ) მთავარი სპეციალისტი;
- ე) მინისტრის თანაშემწე.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) უფროსი სპეციალისტი;
- ბ) სპეციალისტი;
- გ) თანაშემწე;
- დ) მთავარი სპეციალისტი (დამხმარე მოსამსახურე);
- ე) უფროსი სპეციალისტი (დამხმარე მოსამსახურე);
- ვ) სპეციალისტი (დამხმარე მოსამსახურე);
- ზ) დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი).“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 3 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი